



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა
2020 წლის პირველი კვარტალი
7 მაისი 2020

მნიშვნელოვანი საიხლეები

Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ელექტროენერჯის მოხმარების შემცირება მოსალოდნელია გაგრძელდეს 2020 წლის სექტემბრამდე და სამინისტრო 2020 წლის ჯამური მოხმარების 0.8%-იან კლებას პროგნოზირებს. მარტში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად შემცირდა 7.8%-ით, პანდემიის შედეგად გამოწვეული შეზღუდვების გამო. Covid-19-ის გავლენა ელექტროენერჯის მოხმარებაზე უფრო მკვეთრი იქნება 2020 წლის აპრილში, როდესაც ყველაზე მკაცრი შეზღუდვები იყო. თუმცა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განახლებული წლიური პროგნოზის საფუძველზე (მიღებულია 2020 წლის 24 აპრილს), აპრილში მოხმარების წლიურად 5.9%-ით კლებაა ნავარაუდები, რაც უფრო ნაკლებია ვიდრე მარტის ფაქტიური მაჩვენებელი. იგივე დოკუმენტი პროგნოზირებს ელექტროენერჯის მოხმარების უარყოფით ზრდას სექტემბრის ჩათვლით, რის შედეგადაც 2020 წლის ჯამური მოხმარება შემცირდება 12.7 ტვტ.სთ-მდე (-0.8% წ/წ).

კორონავირუსის ნეგატიური გავლენის შემსუბუქების მიზნით, მთავრობა მოსახლეობის ნაწილს კომუნალურ გადასახადს 3 თვის განმავლობაში დაუფარავს. შეღავათს მიიღებენ ის აბონენტები, რომელთა მოხმარებაც ნაკლებია 200 კვტ.სთ-ზე ელექტროენერჯის შემთხვევაში და 200 მ³-ზე ბუნებრივი გაზის შემთხვევაში. ეს მოხმარება დაახლოებით შეესაბამება თვიურად 37 ლარის გადასახადს ელექტროენერჯის შემთხვევაში და 100 ლარის მოხმარებას ბუნებრივი აირისთვის. მთავრობამ მსურველებს დოტაციაზე უარის თქმის შესაძლებლობა მისცა. მარტში ამ შეღავათზე უარი 3,534-მა აბონენტმა განაცხადა.

შუახვევი ჰესმა განაახლა ოპერირება 2020 წლის თებერვალში. 178 მგვტ-იანი სადგური პირველად 2017 წელს გაეშვა, თუმცა გვირაბთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო მოუწია რემონტზე გასვლა. 2020 წლის მარტში მისმა გამომუშავებამ 58.9 გვტ.სთ შეადგინა, რაც ამ თვის ჯამური მიწოდების 5.4%-ს და ჰიდროგენერაციის 8.3%-ს შეადგენდა.

ბაზრის რეფორმა გათვალისწინებული ვადით მიმდინარეობს. კანონმდებლები დათქმულ ვადაში ასრულებენ ენერჯეტიკის შესახებ ახალი კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია; საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო გადამცემი სისტემის ოპერატორის ლიცენზირების წესი და შეიტანა ცვლილებები ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, მათ შორის ქსელის წესებში.

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
evabochoishvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897



ელექტროენერჯის ბაზრის კონცეფცია

ძირითადი საკითხები:

- ელექტროენერჯის ვაჭრობა დღით ადრე, დღიური და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრებზე უნდა დაიწყოს 2021 წლის ივლისში.** მანამდე ვაჭრობა გაგრძელდება ორმხრივი ხელშეკრულებების ფორმით, როგორც ეს დღეს ხდება. ენერჯეტიკული ბირჟა, რომელიც დაარსდა 2019 წლის დეკემბერში, როგორც ესკოს და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ერთობლივი საწარმო, მუშაობს Nord Pool კონსალტინგთან ერთად სავაჭრო პლატფორმების შექმნაზე და მისი ოპერირების წესების შემუშავებაზე. ისინი გვპირდებიან, რომ პლატფორმების პირველადი გაშვება მოხდება 2020 წლის ივლისში და ერთწლიანი ტესტირების შემდეგ დაიწყება სრულმასშტაბიანი ოპერაციები.
- საბითუმო საჯარო მომსახურების მიმწოდებელი (სავარაუდოდ ესკო) პასუხისმგებელი იქნება ბაზარზე ფასების სტაბილურობასა და აფხაზეთის რეგიონისთვის ელექტროენერჯის მიწოდებაზე.** საბითუმო საჯარო მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ივაჭროს ელექტროენერჯის ბაზრებზე, თუმცა ძირითადი მექანიზმი, რომელსაც ისინი გამოიყენებენ ფასების სტაბილურობისთვის, არის ფასთა სხვაობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანია აანაზღაურებს სხვაობას რეგულირებულ ან დაპირებულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის. საბითუმო საჯარო მომწოდებელი იქნება ფასების სტაბილურობის გარანტი შემდეგი ბაზრის მონაწილეებისთვის:

 - ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) მქონე სადგურები;
 - ელექტროსადგურები სამომავლოდ მთავრობის მიერ შეთავაზებული სხვა წამახალისებელი სქემით;
 - უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები (კომპანიები, რომლებიც ელექტროენერჯიას აწვდიან მოსახლეობას და სხვა საბოლოო მომხმარებლებს);
 - რეგულირებული ელექტროსადგურები (მაგ. ენგური);
 - გარანტირებული სიმძლავრის მიმწოდებლები (მაგ. თბოსადგურები).
- საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარი ოპერირებას დაიწყებს 2021 წლის ივლისიდან.** გადაცემის სისტემის ოპერატორი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა) განსაზღვრავს კრიტერიუმებს და მიმწოდებელთა ჩამონათვალს. ამ დროისთვის ასევე ფასიანი გახდება უბალანსობები და დაწესდება უბალანსობის ანგარიშსწორების წესები.




ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი

ადგილობრივი მოხმარება

ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის პირველ კვარტალში წლიურად 1.2%-ით გაიზარდა და 3.4 ტვტ.სთ შეადგინა. ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროგნოზირებულ 5%-ს, თუმცა აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის ზრდას (-0.6% წ/წ). 2020 წლის იანვარსა და თებერვალში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად შესაბამისად 3.6% და 8.3%-ით გაიზარდა. ზრდა ძირითადად მოდიოდა პირდაპირ მომხმარებლებზე; ასევე გაზრდილია ამ პერიოდის საყოფაცხოვრებო მოხმარებაც.

2019 წლის მარტში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 7.8%-ით შემცირდა, რაც კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებითაა განპირობებული. მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირი მომხმარებლების ელექტროენერჯის მოხმარება არ შემცირებულა არც მარტში, რადგან დიდი ინდუსტრიული მომხმარებლები პანდემიის პირობებშიც აგრძელებდნენ ყოველდღიურ საქმიანობას.

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება და წლიური ზრდა, გვტ.სთ




წყარო: ესკო
შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნავს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდას

მომხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებში მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს. კვალიფიციური (პირდაპირი მომხმარებლები) საწარმოების მოხმარება 2020 წლის პირველ კვარტალში წლიურად 52.8%-ით გაიზარდა, რაც ამ ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, იგივე მიზეზით დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 11.2%-ით შემცირდა. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება შემცირდა (-17.2% წ/წ), რადგან მისი აბონენტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირდა.

შეგახსენებთ, რომ ბაზრის დერეგულირების გეგმის ფარგლებში, რომელიც 2018 წლის მაისიდან დაიწყო, ყველა კომპანია, რომელთა საშუალო თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 გვტ.სთ-ს სავალდებულო წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მომხმარებლად. შედეგად, პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი გაიზარდა 2-დან 15-მდე. ამასთან, მათი წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში გაიზარდა და თუ 2018 წლის პირველ კვარტალში (დერეგულირების დაწყებამდე) 9.8%-ს შეადგენდა, 2020 წლის პირველ კვარტალში 19.4% მიაღწია.



გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



ცხრილი 2: ელექტროენერჯის მოხმარება, პირველი კვარტალი, 2020წ

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
შიდა მოხმარება	+1.2%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+8.0%	23.1%
კვალიფიციური საწარმოები	+52.8%	19.4%
სადისტრიბუციო კომპანიები	-11.2%	57.5%
ენერჯო-პრო ჯორჯია	-17.2%	34.8%
თელასი	+0.01%	22.7%

წყარო: ესკო

ელექტროენერჯის გენერაცია

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 78.7% დაკმაყოფილდა ადგილობრივი გენერაციით, ხოლო დანარჩენი იმპორტირებული იყო რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.


ჰიდროელექტროსადგურების გენერაცია წლიურად 1.9%-ით შემცირდა და იანვარ-მარტის მთლიანი მოთხოვნის 46.4% დააკმაყოფილა. ეს შემცირება განპირობებულია არახელსაყრელი ჰიდროლოგიური პირობებით, რაც უმეტესად გამოიხატა იანვრისა და თებერვლის შემცირებულ ჰიდროგენერაციაში, შესაბამისად 21.7% და 12.9%-ით. წვიმიანი სეზონის და თოვლის დნობის დაწყების შემდეგ, მარტში ჰიდროგენერაცია გაიზარდა 30% -ით, რამაც პირველი კვარტლის კლების ტემპი შედარებით შეამცირა.

ენჯურ-ვარდნილის სრული გენერაცია (-10.9% წ/წ) მოხმარდა აფხაზეთის რეგიონის გაზრდილ მოხმარებას (+8.0% წ/წ). ამ რეგიონისთვის ასევე საჭირო გახდა ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება რუსეთიდან, სალხინოს გადამცემი ხაზის მეშვეობით.

2020 წლის პირველ კვარტალში **თბოსადგურების** გენერაცია წლიურად 11.7%-ით შემცირდა, წინა წლის ანალოგიური პერიოდის საკმაოდ მაღალი 42.1%-იანი ზრდის შემდეგ. **ქარის ელექტროსადგურის** გამომუშავებამ (+9.2% წ/წ) ჯამური მიწოდების 0.7% შეადგინა.



გრაფიკი 3: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

ცხრილი 3: ელექტროენერჯის მიწოდება, 2020 წლის პირველი კვარტალი

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი ჯამურ მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	+1.0%	100.0%
იმპორტი	+39.6%	21.3%
ადგილობრივი გენერაცია	-6.0%	78.7%
თბოსადგურები	-11.7%	31.6%
ქარის სადგურები	+9.2%	0.7%
ჰესები	-1.9%	46.4%
ენგურ-ვარდნილი	-10.9%	15.1%
სხვა რეგ. ჰესები	-2.9%	16.2%
დერეგულირებული ჰესები	+10.5%	15.1%


წყარო: ესკო

ელექტროენერჯის იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი

2020 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 39.6%-ით გაიზარდა და ჯამური მოთხოვნის 21.3% დააკმაყოფილა. ელექტროენერჯის იმპორტი აზერბაიჯანიდან (ჯამური 54.1%) და რუსეთიდან (ჯამური 45.9%) განხორციელდა. ყველაზე მნიშვნელოვანი წლიური ზრდა დაფიქსირდა 2020 წლის თებერვალში (+119% წ/წ), ხოლო იანვარსა და მარტში იმპორტი შესაბამისად 17.9% და 4.3%-ით გაიზარდა.


აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის ელექტრომომარაგებისთვის სალხინოს ხაზით იმპორტირებული ელექტროენერჯია ჯამური იმპორტის დაახლოებით მესამედს, ხოლო რუსეთიდან იმპორტის დაახლოებით 70%-ს შეადგენდა.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 5: აფხაზეთის რეგიონის მოხმარება და ენგურ-ვარდნილის გამომუშავება, ტვტ.სთ




წყარო: ესკო



იმპორტის ღირებულებამ 29.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიური 25.7%-იანი ზრდაა. იმპორტის ღირებულების (+25.7% წ/წ) და მოცულობის (+39.6% წ/წ) ზრდის ტემპებს შორის განსხვავება აიხსნება იმპორტში აფხაზეთისთვის სალხინოს ხაზით იმპორტირებული შედარებით იაფიანი ელექტროენერჯის არსებობით. იგივე მიზეზით აიხსნება იმპორტის საშუალო ფასის 10%-იანი კლება კვტ.სთ-ზე 3.9 აშშ ცენტამდე.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის იმპორტი, მლნ აშშ. დოლარი




წყარო: საუსტატი

იანვარ-მარტის განმავლობაში ელექტროენერჯის ექსპორტი ტრადიციულად უმნიშვნელო იყო.

2020 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერჯის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 51.1 გვტ.სთ შეადგინა. ტრანზიტის მოცულობა 3.4-ჯერაა გაზრდილი 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და მხოლოდ 10%-ით ჩამორჩება 2016 წლის მაღალ დონეს.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საუსტატი




ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში - 2020 წლის პირველი კვარტალი

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.8 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც წლიური 5.8%-იანი ზრდაა. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 21.4% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯიაში იმპორტის წილი 61.0%-ს შეადგენდა, ხოლო გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) ესკოს მიერ შესყიდული ენერჯის წილი 36.4%-ს.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი 2020 წლის პირველ კვარტალში საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.8 აშშ ცენტს შეადგენდა (+0.3% წ/წ), რაც 11%-ით ნაკლებია საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასზე.

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

ცხრილი 4: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე

	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	3თ20
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში	4.8	2.7	2.6	4.7	4.9	5.0	5.0	5.2	5.1	4.8	5.1	4.9	6.1	5.4
%-ლი ცვლილება, წ/წ	-3%	-50%	-50%	30%	4%	12%	-6%	2%	-4%	-5.0%	0%	-5%	21%	5.8%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	5.0	5.5	5.5	5.2	5.2	5.1	4.7	5.0	5.2	4.8	5.1	3.2	3.8	3.9
%-ლი ცვლილება, წ/წ	-12%	-5%	-4%	-13%	12%	20%	-7%	1%	0%	-4.1%	2%	-29%	3%	-10.0%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	1.2	3.0	3.2	7.2	5.5	1.7	4.7	5.5	-	3.2	NM	NM	NM	NM
%-ლი ცვლილება, წ/წ	-59%	-8%	1%	110%	-7%	-71%	-36%	0%	-	-0.4%				
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში	3.4	3.4	4.1	5.4	5.4	5.3	5.1	5.3	5.4	4.7	5.4	5.0	4.0	4.8
%-ლი ცვლილება, წ/წ	-29%	-18%	1%	23%	2%	1%	-7%	-4%	9%	-0.3%	23%	1%	-18%	0.6%

წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (NM) როცა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.



ცხრილი 5: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	3თ20
სულ შიდა მოხმარება	1,010	984	1,064	1,107	1,103	971	958	1,068	1,173	12,759	1,190	1,122	1,049	3,360
%-ლი ცვლილება, წ/წ	+3%	+2%	+9%	+1%	+5%	+2%	-1.9%	-0.8%	+0.2%	+1.4%	+3.6%	+8.3%	-7.8%	+1.2%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	187	114	108	117	128	115	126	197	251	2,060	273	269	233	775
%-ლი ცვლილება, წ/წ	+26%	+13%	+7%	+1%	+6%	+9%	+3%	+2%	+3%	+7.2%	+7%	+22%	-4%	+8.0%
- პირდაპირი მომხმარებლები	144	313	324	334	308	290	257	239	227	2,864	225	203	224	652
%-ლი ცვლილება, წ/წ	+31%	+74%	+84%	+84%	+80%	+81%	+52%	+50%	+42%	+59.6%	+56%	+58%	+45%	+52.8%
- სადისტრიბუციო კომპანიები	680	557	631	656	666	566	575	632	695	7,835	692	649	592	1,934
%-ლი ცვლილება, წ/წ	-6%	-18%	-10%	-17%	-12%	-18%	-16%	-13%	-10%	-11.6%	-8%	-5%	-20%	-11.2%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	458	341	379	404	424	358	360	379	416	4,933	412	388	370	1,171
%-ლი ცვლილება, წ/წ	-5%	-27%	-20%	-23%	-19%	-23%	-23%	-21%	-16%	-16.3%	-14%	-13%	-24%	-17.2%
- თელასი	221	216	252	252	243	208	215	253	279	2,902	279	262	222	763
%-ლი ცვლილება, წ/წ	-7%	+1%	+12%	-7%	+3%	-6%	-2%	+2%	+1%	-2.3%	+4%	+9%	-12%	+0.0%
სულ გენერაცია	966	1,156	1,198	1,055	1,020	821	800	913	1,012	11,865	1,031	851	867	2,749
%-ლი ცვლილება, წ/წ	-9%	-0%	-1%	-17%	+4%	-3%	+2%	+1%	+3%	-2.3%	+2%	-9%	-11%	-6.0%
<i>მათ შორის:</i>														
- თბოსადგურები	159	0	7	3	138	207	214	402	460	2,840	552	398	153	1,104
%-ლი ცვლილება, წ/წ	+348%	-100%	+141%	-52%	-8%	+29%	+8%	+22%	+67%	+34.3%	+37%	-5%	-64%	-11.7%
- ქარის სადგურები	7	6	5	9	8	7	6	8	7	85	8	7	9	23
%-ლი ცვლილება, წ/წ	-27%	+17%	+6%	+11%	+9%	-11%	-19%	+16%	+5%	+0.5%	+36%	-9%	+7%	+9.2%
- ჰიდროსადგურები	801	1,150	1,185	1,043	874	607	580	503	545	8,940	471	445	705	1,621
%-ლი ცვლილება, წ/წ	-21%	7%	-1%	-17%	6%	-11%	0%	-11%	-23%	-10.1%	-22%	-13%	30%	-1.9%
<i>მათ შორის:</i>														
- ენგური და ვარდნილი	239	531	653	540	518	276	225	223	230	4,028	214	141	173	528
%-ლი ცვლილება, წ/წ	-43%	+5%	-5%	-35%	+1%	-26%	-9%	+12%	-11%	-15.3%	-19%	-31%	+41%	-10.9%
- სხვა რეგულირებადი ჰესები	311	320	257	268	200	162	182	135	179	2,593	135	168	262	564
%-ლი ცვლილება, წ/წ	-8%	+6%	-8%	+8%	+26%	-11%	-5%	-33%	-29%	-11.6%	-24%	+0%	+11%	-2.9%
- სხვა ჰესები	252	300	275	235	157	168	173	145	137	2,319	122	136	270	529
%-ლი ცვლილება, წ/წ	-6%	9%	17%	39%	1%	33%	23%	-10%	-29%	+2.7%	-23%	-2%	49%	+10.6%
იმპორტი	81	0	8	94	119	185	195	200	211	1,627	214	312	218	744
%-ლი ცვლილება, წ/წ	+621%	-99%	+29%	NM	+20%	+33%	-15%	-9%	-8%	+7.8%	+18%	+119%	+4%	+39.6%
ექსპორტი	0	134	100	6	0	0	3	0	0	243	0	1	0	1
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	-32.8%	-48.7%	-95%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-58.6%	N/A	N/A	N/A	N/A
სავაჭრო ბალანსი	(81)	134	92	(88)	(119)	(185)	(193)	(200)	(211)	(1,383)	(214)	(312)	(218)	(744)
ტრანზიტი	9	-	-	-	38	33	-	22	19	14	26	25	-	51
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-80%	-83%	-94.3%	N/A	+174%	N/A	+244.7%

წყარო: ესკო

შენიშვნა: სხვა რეგულირებადი ჰესებში შედიან ის სადგურები, რომლებსაც სემკეი უწყებებს ელექტროენერჯის გასაცემი ფასის ზედა ზღვარს. ეს სადგურებია: ვარციხე, ჟინვალი, ხრამი 1, ხრამი 2, ბევრულა, გუმბათი, რიონი, მთრი.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მიზანრისის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმვით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ან ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მოდიფიკატორებაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
ზაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

ანალიტიკოსი
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge